ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე: ინგა სეხნიაშვილი
კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია
კომისიის წევრი: ხათუნა ფურელიანი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.02.2021
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/21

I შეკითხვა:
კლიენტი სთხოვს ადვოკატს, რომ მას სურს მიანდოს გარკვეული ფულადი სახსრები კონკრეტული დანიშნულებით. კერძოდ: ვინაიდან, კლიენტი არის მძიმედ ავად და ამასთან, აქვს პრობლემები სამართალდამცავ ორგანოებთან, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი გარდაიცვლება ან მოუწევს იძულებით ქვეყნის დატოვება, ადვოკატმა მინდობილი ფულადი სახსრები უნდა გადასცეს მის მეუღლეს.
ასევე მნიშვნელოვანია, რომ კლიენტი და ადვოკატი იმყოფებიან ხანგრძლივ პროფესიულ ურთიერთობაში და შესაბამისად, არსებობს ნდობის მაღალი ხარისხი.
შეიძლება თუ არა ადვოკატმა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.13 მუხლისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დადოს კლიენტთან მინდობისა და დავალების ხელშეკრულება?

II ანალიზი:
ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია კლიენტის თანხების განკარგვის თაობაზე არსებული მარეგულირებელი ნორმის გათვალისწინებით:

> ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება (აპეკ-ის მუხლი 8.13).

კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მიბარება არ წარმოადგენს ტრადიციულ საადვოკატო საქმიანობას, როგორიც არის წარმომადგენლობის განხორციელება და იურიდიული

რჩევის მიცემა. თუმცა, რადგანაც უკვე ჩამოყალიბებულია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, კლიენტის მხრიდან ქონების მინდობა აპეკ-ის 8.13 მუხლით რეგულირებას ექვემდებარება.

შესაბამისად, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტისგან მინდობილი ფულადი სახსრები შეინახოს თავისი ქონებისგან განცალკევებით და კეთილსინდისიერად მართოს ის, რაც მოიცავს მათი უსაფრთხოდ შენახვის ვალდებულებას, მაგ. ბანკში. საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის შესაბამისად, ადვოკატებს აქვთ ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ან სეგრეგირებული საბანკო ანგარიშის გახსნის უფლება. შედეგად, მინდობილი სახსრები უნდა განთავსებული იყოს სეგრეგირებულ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე. ნიშანდობლივია, რომ კლიენტის თანხების მიღების/განკარგვისათვის სპეციალური წესების არსებობა მნიშვნელოვანია სწორედ მისი კეთილსინდისიერად მართვის უზრუნველსაყოფად. „ადვოკატის საბანკო ანგარიში შეიძლება გამოყენებულ იქნას კრიმინალური ფულის საფინანსო სისტემაში განთავსების, შენახვის და მოძრაობისთვის… ამ გარემოებების გათვალისწინებით, საადვოკატო მომსახურების სფეროში ფულის გათეთრების რისკი შეფასდა როგორც საშუალო-დაბალი, ხოლო ტერორიზმის დაფინანსების რისკი როგორც დაბალი“ (იხ. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2019 წლის ანგარიში საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების თაობაზე). ადვოკატის ვალდებულება მოიცავს კლიენტისათვის მოთხოვნისამებრ ანგარიშგების მიწოდებას.

შედეგად, კლიენტის თანხები სპეციალურად გახსნილ ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებულ ანგარიშზე უნდა განთავსდეს, რაც მოიცავს უფლებას კლიენტისათვის მოთხოვნისამებრ ანგარიშგების მიწოდებას.

ადვოკატის მიერ კლიენტისგან მინდობილი ფულადი სახსრების განკარგვისთვის კლიენტისგან მიღებული მითითებები ექვემდებარება კანონიერების პრინციპს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობის პირველი პრინციპია კანონიერება.

კანონიერების პრინციპი უპირატესია ყველა სხვა პრინციპთან, „თუ ადვოკატი, კლიენტს შესთავაზებს მოჩვენებითი და სხვა კანონსაწინააღმდეგო გარიგებების დადებას თუნდაც საადვოკატო მომსახურების ფარგლებს გარეთ, კლიენტს შეიძლება დაეკარგოს ნდობა ადვოკატის მიმართ, და გაუჩნდეს ეჭვი, რომ მისი მომსახურებისას ადვოკატი დაარღვევს კანონიერების პრინციპს. შედეგად, აღნიშნული პროფესიისადმი დამაზიანებელი იქნება“ (სააეკგ საქმე N082/18 20.02.2019 პარ.5.6).

„კლიენტის ინტერესების დაცვა მიზნად არ უნდა ისახავდეს კანონსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტმა შესაძლოა მოიწონოს ადვოკატის ქცევა, ადვოკატს აღნიშნული არ აძლევს უფლებას კლიენტისათვის სასურველი შედეგს არაკანონიერი საშუალების გამოყენების გზით მიაღწიოს“ სააეკგ საქმე N157/13 20.02.2013 პარ.6.6).

შესაბამისად, ადვოკატმა არ უნდა მიიღოს მითითება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს. კლიენტის სიცოცხლეში მისი მითითებით, ადვოკატს შეუძლია მინდობილი ფულადი სახსრები გადასცეს მის მეუღლეს ან ნებისმიერ სხვა პირს. კლიენტის გარდაცვალების შემთხვევაში, ადვოკატ-კლიენტის

ურთიერთობა წყდება და ადვოკატზე გაცემული მინდობილობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 10(დ) მუხლის შესაბამისად უქმდება. შედეგად, ადვოკატი ვალდებულია მინდობილი ფულადი სახსრები გადასცეს არა კონკრეტულ პირს, არამედ სამკვიდროს მმართველს ან განკარგოს ისინი სამკვიდრო მოწმობის შესაბამისად. კლიენტის მითითება, რომ მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ადვოკატმა მინდობილო თანხები კლიენტის მეუღლეს უნდა გადასცეს, საქართველოში მოქმედ სამკვიდრო სამართალთან შეუსაბამოა.

სადაოებისას, ადვოკატის მიერ მტკიცების ტვირთის ასაწევად, რეკომენდირებულია, რომ კლიენტის მითითებები გაფორმდეს წერილობითი სახით. დამატებით, შესაძლებელია კლიენტის ხელმოწერის დამოწმება სანოტარო წესითაც, თუმცა აღნიშნული საბოლოოდ ადვოკატის გადასაწყვეტია შესაძლო რისკების შეფასების შემდეგ.

შემდეგი საკითხი, რომელიც ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული საადვოკატო საქმიანობასთან დაუკავშირებელი ქონების მინდობით მიღებისას, არის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, მათ შორის შემდეგი საკითხები:

1. ადვოკატმა უნდა შეაფასოს ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში მისი, როგორც კონკრეტულ საქმეში კლიენტის ადვოკატის და როგორც მინდობილი თანხების მმართველის როლები ერთმანეთთან.

2. მიღებული ქონების შენახვის და განკარგვის მიღებული მითითება ან ბენეფიციარის პიროვნება ხომ არ არის რაიმე სახით შემაფერხებელი კლიენტის ინტერესების წარმოდგენისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, მაშინ მას შეუძლია შენახვის მიზნით მიიღოს კლიენტის ქონება და მისი კანონთა შესაბამისი მითითებებით განკარგოს ის. სხვა შემთხვევაში, ადვოკატს შეუძლია კლიენტს ურჩიოს სხვა პირის მომსახურებით სარგებლობა, მათ შორის ნოტარიუსით, რომელიც კანონის საფუძველზე ახორციელებს ქონების დეპონირებას.

დამატებით გასათვალისწინებელია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონის 3.2.(ე) მუხლის და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ზ) მუხლის მოთხოვნა, რომელიც ადვოკატს ავალდებულებს, ტრასტის შექმნისას საეჭვო გარემოებების არსებობისას, ინფორმაციის მიწოდებას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის ან ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის. თუმცა რადგან აღნიშნულზე არ ყოფილა შეკითხვა, დეტალურად არ შევეხებით ამ საკითხს.

III დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი შესთავაზებს ადვოკატს ფულად სახსრების მინდობას, ადვოკატმა უნდა შეამოწმოს ხომ არ აქვს მას ინტერესთა კონფლიქტი მის დამატებით როლთან ან სახსრების ბენეფიციართან დაკავშირებით. ადვოკატმა ასევე უნდა შეამოწმოს, შესაბამისობაშია თუ არა კლიენტის მითითება კანონთან. თუ კონფლიქტი არ არსებობს, ხოლო მითითება შესაბამისობაშია კანონთან, ადვოკატს შეუძლია მინდობილი პირის ფუნქციის შესრულება, მათ შორის კლიენტის სიცოცხლეში ქონების ნებისმიერი პირისთვის გადაცემა, შესაბამისი წინაპირობების დადგომის

სარწმუნოდ შეტყობის შემთხვევაში. უმჯობესია, თუ მითითება იქნება წერილობითი ფორმით გაკეთებული, რასაც უტოლდება საკუთრების მინდობის ხელშეკრულების წერილობით გაფორმება. აღნიშნული შესაძლებელია მოთხოვნილი იქნას კომერციული ბანკის მიერ სეგრეგირებული ანგარიშის გახსნისას. კლიენტის გარდაცვალების შემთხვევაში, ადვოკატის მიერ კლიენტის მეუღლის ან რომელიმე კონკრეტული პირისათვის მინდობილი თანხების გადაცემა იქნება კანონსაწინააღმდეგო. ადვოკატმა ასეთ დროს, კლიენტის ქონება უნდა გადასცეს სამკვიდრო მმართველს ან იმოქმედოს სამკვიდრო მოწმობის შესაბამისად.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი /ხათუნა ფურელიანი/

კოლეგიის წევრი /ირაკლი კორძახია/